# სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
# აკადემიური საბჭო
# დადგენილება №01-05-04/88

ქ. თბილისი 6 ივნისი 2023წ

## თვითდაფინანსებაზე მყოფი გასაუქმებელი ცენტრების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სამეცნიერო დარგში რექტორის მოადგილის, პროფესორ ზურაბ გასიტაშვილისა და სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერნგის ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათებისა და აკადემიური საბჭოს 2023 წლის 6 ივნისის №01-05-02/14 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. გაუქმდეს სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერნგის ფაკულტეტთან არსებული თვითდაფინანსების პრინციპით მოქმედი ცენტრები:
   - „უმაღლესი სკოლის გრაფიკული დისციპლინის მასწავლებელთა მომზადების ცენტრი;
   - საინჟინრო და გადამამუშავებელი ტექნოლოგიების სასწავლო ცენტრი;
   - ინტელექტუალური სენსორების კვლევითი ცენტრი;

2. საკითხი დასამტკიცებლად წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს (სენატი). საკითხს გაიტანს სამეცნიერო დარგში რექტორის მოადგილე, პროფესორი ზურაბ გასიტაშვილი;
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, № 64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე — დ. გურგენიძე

აკადემიური საბჭოს მდივანი — ი. კუტუბიძე